



4088/1-6/21 2 29042021

4088/1-6/21

29-04-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნითა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრს

ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს


ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეიმუშავებს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიას. შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მისი პრევენციის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო მიერ გაიცემა საარსებო შემწეობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მომაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია:

ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ, რომლის დამუშავების შემდეგ ოჯახს მიენიჭება სარეიტინგო ქულა, რომლის ოდენობაც განსაზღვრავს ოჯახის უფლებას ფულადი სოციალური დახმარებაზე.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
ლევან იოსელიანი





საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030126328635821

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/6556

05 / მაისი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
მოადგილეს ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხილულ იქნა თქვენი 2021 წლის 29 აპრილის N4088/1-6/21 წერილი, რომელიც შეეხება ინფორმაციის მოწოდებას ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების სისტემის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით დანართის სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის თაობაზე და შესაბამის სამართლებრივ აქტს.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



თამილა ბარკალაია

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №758

2014 წლის 31 დეკემბერი

ქ.თბილისი

სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ო“ ქვეპუნქტისა და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების თანდართული მეთოდოლოგია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი და სრულფასოვანი ადმინისტრირების მიზნით:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა სსიპ – შემოსავლების სამსახურმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული მონაცემთა ბაზების და/ან საჭირო ინფორმაციის პერიოდულად მიწოდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის (შემდგომში – სააგენტო), მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად;

ბ) ყველა ადმინისტრაციულმა ორგანომ, შეუფერხებლად უზრუნველყოს მათ ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზებისა და/ან საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სააგენტოსათვის, მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების და/ან მოთხოვნის შესაბამისად;

გ) ეთხოვოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აღმოუჩინონ ქმედითი დახმარება და/ან მიაწოდონ მათ ხელთ არსებული მონაცემთა ბაზები და/ან საჭირო ინფორმაცია სააგენტოს, მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების და/ან მოთხოვნის შესაბამისად;

დ) ეთხოვოთ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს (მათ შორის, ელექტროენერგიის განაწილების, ბუნებრივი გაზის განაწილებისა და წყალმომარაგების ლიცენზიის მფლობელ პირებს, აგრეთვე დაგვა-დასუფთავების და/ან ნარჩენების მართვის შესაბამის ოპერატორ კომპანიებს ან დასუფთავების მოსაკრებლის ამკრებ შესაბამის უფლებამოსილ პირებს და სხვა) აღმოუჩინონ ქმედითი დახმარება და/ან მიაწოდონ მათ ხელთ არსებული მონაცემთა ბაზები და/ან საჭირო ინფორმაცია სააგენტოს, მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების და/ან მოთხოვნის შესაბამისად.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული მეთოდოლოგიის რეალიზებასთან დაკავშირებით საჭირო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ(ებ)ის მომზადება და გამოცემა;

ბ) „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილების შესაბამისად ფორმირებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“



რეგისტრირებული ოჯახების, ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული მეთოდოლოგიით გადამოწმების გრაფიკის დამტკიცება.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში (2015 წლიდან-2017 წლის 1 აგვისტომდე) ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული მეთოდოლოგიის ამოქმედების მიუხედავად, ძალას ინარჩუნებს „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილებით (შემდგომში – საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილება) დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად შესწავლილი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი პირობითი ერთეული – სარეიტინგო ქულა.

5. 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 მაისამდე პერიოდში, ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) შეფასება განხორციელდეს ტესტირების რეჟიმში.

6. სააგენტომ უზრუნველყოს ყველა საჭირო ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ტესტირების რეჟიმში სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად შეფასების მიზნით.

7. 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 მაისამდე სპეციალურ კითხვარში (ოჯახის დეკლარაცია) დაფიქსირებული მონაცემების დამუშავება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, გარდა ამ დადგენილების 1¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის დადგენილება №145 – ვებგვერდი, 31.03.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის დადგენილება №216 – ვებგვერდი, 19.05.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის დადგენილება №98 – ვებგვერდი, 01.03.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №616 – ვებგვერდი, 30.12.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №316 – ვებგვერდი, 05.06.2018წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის დადგენილება №4 – ვებგვერდი, 22.01.2019წ.

მუხლი 1¹

1. სააგენტომ უზრუნველყოს 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 მაისამდე პერიოდში ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული მეთოდოლოგიის გამოყენებით ტესტირების რეჟიმში შეფასებული (შესწავლილი) ოჯახების (შინამეურნეობების) შესახებ მოპოვებული მონაცემების შეტანა (ასახვა) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და ამავე მეთოდოლოგიის გამოყენებით ახალი სარეიტინგო ქულის მინიჭება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის სარეიტინგო ქულის მინიჭების თარიღად განისაზღვროს 2015 წლის 30 აპრილი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის დადგენილება №216 – ვებგვერდი, 19.05.2015წ.

მუხლი 2

2015 წლის 1 მაისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილება.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის დადგენილება №145 – ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



ინფორმაცია მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის

შესახებ

საქართველოში სოციალური დახმარების ახალი სისტემის შემოღებამდე, სოციალური დახმარებების განაწილება ძირითადად სოციალური კატეგორიების მიხედვით ხორციელდებოდა. დახმარებას იღებდნენ მართლაც არამომუშავე პენსიონერები, მკვეთრად გამოხატული შშმ უსინათლოები, დედ-მამით ობოლი ბავშვები, ორი და მეტი არამომუშავე პენსიონერებისგან შემდგარი ოჯახები და სხვა. დახმარების განაწილების ასეთი ფორმა, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით იოლად ადმინისტრირებადი იყო, მოიცავდა რიგ ხარვეზებს, ზოგ შემთხვევაში ფულად თანხას იღებდა ის, ვინც არ საჭიროებდა დახმარებას და არ იღებდა ის, ვისთვისაც დახმარება სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. ამიტომ საჭირო გახდა შედარებით ეფექტური სისტემის შექმნა, რომელიც უფრო ზუსტად და გამჭვირვალედ გამოიყენებოდა უკიდურესად გაჭირვებულ ფენას და რომლის მიხედვითაც სოციალური დახმარება გაიცემოდა იმ ოჯახებზე, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას.

მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის ეფექტურობის გაზრდის მიზნით 2005 წლიდან საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, გადასულიყო სოციალური დახმარების განაწილების ახალ სისტემაზე, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფდა სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსების განაწილებას საზოგადოების უკიდურესად ღატაკი ფენისათვის და იმ ოჯახებისათვის, რომლებიც პირველ რიგში საჭიროებენ დახმარებას. სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია, რომელსაც საქართველო იყენებს არის კეთილდღეობის შეფასების მსოფლიო პრაქტიკაში არსებული მეთოდოლოგია ე.წ. ოჯახების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი, სტატისტიკური მოდელი, ფორმულა, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა ცვლადების გამოყენებით შესაძლებელია ოჯახების რანჟირება მათი კეთილდღეობის მიხედვით. აღნიშნული მეთოდოლოგია გამოიყენება ჩილეში, პერუში, მექსიკაში და სხვა ქვეყნებში. მეთოდიკა მთლიანობაში მორგებულია საქართველოში არსებულ რეალობას. ამასთან, სხვადასხვა დოზით გაზიარებულია მისამართული დახმარების მსოფლიო პრაქტიკაში არსებული კრიტერიუმები: შემოსავალი, ტერიტორიული პრინციპი, კატეგორიები და სხვ.

ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების სისტემა (მეთოდოლოგია) რამდენჯერმე გადაიხედა, თუმცა მთავარი პრინციპი - კეთილდღეობის ინდექსის განსაზღვრა შინამეურნეობის სამომხმარებლო ინდექსის და საჭიროების ინდექსის ფარდობით, უცვლელი დარჩა. რაც უფრო ნაკლებია კეთილდღეობის ინდექსი, მით უფრო დაბალია შინამეურნეობის კეთილდღეობის დონე. თავის მხრივ, სამომხმარებლო ინდექსის (რომელიც საქსტატის მიერ წარმოებულ შინამეურნეობების ინტეგრირებულ კვლევაზეა დაფუძნებული), გამოთვლისას მხედველობაში მიიღება სასოფლო-სამეურნეო ქონება (მიწა), შემოსავლები, კომუნალური ხარჯები, შინამეურნეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები, ოჯახის წევრთა განათლება და დასაქმება, ტერიტორიული ინდექსი, ძირითადი საცხოვრებლის მდგომარეობა და სხვა ცვლადები. გარდა ამისა, ფორმულაში ჩართულია ე.წ. „საჭიროების ინდექსი“, რომელიც მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიებისა და ინდივიდების საჭიროებებს 30-39 წლის ჯანმრთელი მამაკაცის „საარსებო მინიმუმთან“ შეფარდებით ითვლის. „საჭიროებების ინდექსში“ გათვალისწინებული მოსახლეობის ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავდება სქესით, ასაკით, სპეციალური სტატუსით (შშმ პირი, მართლაც პენსიონერი, მართლაც დედა, სარეცელს მიჯაჭვული და სხვა). ანუ რაც მეტია ოჯახის დამატებითი საჭიროება, მით უფრო მეტი ძალისხმევა სჭირდება ოჯახს დაიკმაყოფილოს საჭიროებები.

აღსანიშნავია, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით 2015 წლიდან დამტკიცდა სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგია და განხორციელდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ყველა ოჯახის გადამოწმება ახალი მეთოდოლოგიით.

რაც შეეხება უშუალოდ სარეიტინგო ქულის მინიჭების პროცესს, აღვნიშნავთ, რომ თითოეული ოჯახისათვის სარეიტინგო ქულის მინიჭება წარმოადგენს კომპლექსურ ხასიათის პროცედურას და დამოკიდებულია სხვადასხვა ცვლადებზე, რომლებიც ასახულია „ოჯახის დეკლარაციაში“. დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით და

მასში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე მიიღება ოჯახის სარეიტინგო ქულა. შესაბამისად, სარეიტინგო ქულის ოდენობა აგრეგირებული მაჩვენებელია ყველა იმ მონაცემის, რაც დეკლარაციაშია ასახული და მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ცვლადი (მაგ. ოჯახის წევრის შშმ სტატუსი, უძრავი ქონა და ა.შ.) არ შეიძლება განაპირობებდეს სარეიტინგო ქულის ოდენობას.

ახალი მეთოდოლოგიით საარსებო შემწეობის მიმღები შეიძლება გახდეს ოჯახი, რომელსაც არ აქვს შემოსავალი ან შემოსავლის მომტანი რაიმე სახის ქონება. გარდა ამისა, ხანგრძლივი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთების ქონა, ასევე სოციალური აგენტის სუბიექტური შეფასება სარეიტინგო ქულების განსაზღვრისას მხედველობაში აღარ მიიღება.

საარსებო შემწეობები გაიცემა გრადაციული სისტემით ანუ ის ოჯახები, რომელთაც უფრო დაბალი სარეიტინგო ქულა აქვთ ფულად დახმარებას უფრო მეტი ოდენობით იღებენ.

ცხრილი 1. სარეიტინგო ქულა და თანხები

სარეიტინგო ქულა	ლარი (ოჯახის თითოეულ წევრზე)
<30,001	60
30,001-57,000	50
57,001-60,000	40
60,001-65,000	30
65,001-100,000	50 (16 წლამდე ოჯახის წევრზე)

2019 წლიდან 100001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის ბავშვის ბენეფიტი 10 ლარიდან გაიზარდა და შეადგინა 50 ლარი; ბავშვის ბენეფიტი 2019 წლის მარტიდან გაიცემა ორი განსხვავებული მეთოდით. მუნიციპალიტეტების ნაწილში 50-ლარიანი დახმარებიდან 30 ლარი გაიცემა „ბავშვის კვების ბარათის“ (თანხის ნაღდი ფულის სახით განაღდების უფლების გარეშე) სახით, ხოლო 20 ლარი ფულადი სახით. მუნიციპალიტეტების ნაწილში კი დახმარება გაიცემა მხოლოდ ფულადი სახით. გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შეფასდება, რომელი მეთოდოლოგიაა უფრო ეფექტური და რა შემთხვევაში უფრო მეტად ხმარდება ბავშვის ბენეფიტი ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის 2017 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა და ბავშვის ბენეფიტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვთა სიღარიბეზე. მაგალითად, შინამეურნეობის ხარჯებს მიზნობრივი სოციალური დახმარების სახით მიღებული შემოსავალი რომ გამოვაკლოთ, ბავშვებში უკიდურესი სიღარიბის დონე 6.8%-დან 12.9%- მდე გაიზარდება.